

მიტროპოლიტი გრიგოლი
(ბერბიჭაშვილი)

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია

Metropolitan Grigoli
(Borbachashvili)

IONA KHELASHVILI'S METAPHYSICAL CONCEPTION

თბილისი 2017 Tbilisi

**ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი**

**NEW GEORGIAN UNIVERSITY
Archive of Caucasian Philosophy and Theology**

სამეცნიერო რედაქტორები:

- თენგიზ ირემაძე
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
ლალი ზაქარაძე
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
უდი რაინდოლდ იეკი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
ჰელმუტ შნაიდერი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

Editors:

- Prof. Dr. **Tengiz Iremadze**
Prof. Dr. **Lali Zakaradze**
Prof. Dr. **Udo Reinhold Jeck**
Prof. Dr. **Helmut Schneider**

რეცენზენტები:

- მიხეილ გოგატიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
იოანემ ფონ ვედელი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

Reviewers:

- Prof. Dr. **Mikheil Gogatishvili**
Prof. Dr. **Joachim von Wedel**
Prof. Dr. **Ekvtime Kochlamazashvili**

© მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიშვაშვილი), 2017
© Metropolitan Grigoli (Berbichashvili), 2017

დაიბეჭდა „ფავორიტი სტილში“, 2017

Published in “Favorite Style”, 2017

ISBN 978-9941-27-719-1

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით
მდაბლად ვუძლვნი ამ მოკრძალებულ ნაშრომს
სულინმიდის მადლში მშობელ ჩემს ეკლესიას, რომელმაც
უძლები შვილის მსგავსად მიმიღო და მშობლიური
სიყვარულით მასაზრდოებს.
დიდება და მაღლობა ლმერთს ყველაფრისათვის!

სარჩევი

ავტორისაგან	9
რედაქტორთაგან	11
შესავალი	13
თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი	17
1.1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	18
1.2. იონა ხელაშვილის ხელნაწერთა ტიპოლოგიური დახასიათება და კლასიფიკაცია	29
1.3. იონა ხელაშვილის თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა	89
1.4. იონა ხელაშვილის თხზულებებისა და მათი შემცველი ხელნაწერების ნუსხა	128
თავი II. იონა ხელაშვილის ცხოვრების გზა – ახალი ფაქტები და მათი ანალიზი	135
2.1. შესავალი	136
2.2. დაბადების თარიღის შესახებ	138
2.3. ბავშვობა, ყრმობა და განსწავლის ადრეული წლები	140
2.4. ალექსანდრე ნეველის სასულიერო სემინარიაში	147
2.5. იონა ხელაშვილის სვლა სასულიერო იერარქიის კიბეზე	150
2.6. იონა ხელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთში	158
2.7. დასკვნა	161
თავი III. იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია	163
3.1. იონა ხელაშვილის მეტაფიზიკის მთავარი წყაროები	164
3.2. მეტაფიზიკა თუ/და ფიზიკა? ლაიბნიც-კლარკის მიმოწერა და მისი რეცეფცია იონა ხელაშვილის მიერ	165

3.3. ქრისტიანული მეტაფიზიკა	172
3.4. მთავარი მეტაფიზიკური კატეგორიები	176
3.5. ქრისტიანული ანთროპოლოგია, როგორც მეტაფიზიკის დაწყის	178
3.6. ჭეშმარიტების პრობლემა და შემეცნების პროცესის აღწერა ..	182
3.7. ნატურალიზმისა და მატერიალიზმის კრიტიკა	186
3.8. სიკეთისა და ბოროტების პრობლემა	187
3.9. კაუზალობის პრობლემა. ლმერთი, როგორც შემოქმედი მიზეზი და მეტაფიზიკის საგანი ..	188
3.10. თავისუფლების პრობლემის მეტაფიზიკური დაფუძნება	190
დასკვნა	193
ნაშრომის რეზიუმე ინგლისურ ენაზე	197
ბიბლიოგრაფია	204
სახელთა საძიებელი	213

CONTENTS

From the Author	9
From the Editors	11
Introduction	13
Chapter I. Literature review and theoretical context of the study	17
1.1. Review of scientific literature	18
1.2. Typological characterization and classification of Iona Khelashvili's manuscripts	29
1.3. Description of manuscripts containing the works of Iona Khelashvili	89
1.4. List of Khelashvili's works and of manuscripts containing them	128
Chapter II. The life of Iona Khelashvili – new facts and analysis	135
2.1. Introduction	136
2.2. About the date of birth	138
2.3. Early years and education	140
2.4. In Alexander Nevsky Theological Seminary	147
2.5. Iona Khelashvili's ecclesiastical career	150
2.6. Iona Khelashvili's life and work in Russia	158
2.7. Conclusion	161
Chapter III. Iona Khelashvili's metaphysical conception	163
3.1. Main sources of Iona Khelashvili's metaphysics	164
3.2. Metaphysics and/or physics? (Leibniz-Clark's correspondence and its reception by Iona Khelashvili)	165
3.3. Christian metaphysics	172
3.4. Main metaphysical categories	176

3.5. Christian anthropology as a field of metaphysics	178
3.6. The problem of truth and the description of the cognitive process ...	182
3.7. Critique of naturalism and materialism	186
3.8. The problem of good and evil	187
3.9. The problem of causality. God as a creative cause and the subject of metaphysics	188
3.10. Metaphysical foundation of the problem of freedom	190
Conclusion	193
Resume	197
Bibliography	204
Index	213

ავტორისაგან

თქვენს წინაშეა მონოგრაფია, რომელიც წარმოადგენს ჩვენი უმდაბლესობის სადისერტაციო ნაშრომს. მისი დაცვა შედგა 2017 წლის 31 მაისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე. გამოკვლევა მიეცდვნა ახალი დროის ქართული თეორიული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფილოსოფოსისა და ლიტერატურის, მღვდელმონოზონ იონა ხელაშვილის შემოქმედებას და მის მეტაფიზიკურ კონცეფციას.

მოხარული ვართ, რომ საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო დეპარტამენტში საქმიანობისას უფლის განგებამ შეგვახვედრა ორი პიროვნება, რომელთაგანაც მივიღეთ მძლავრი იმპულსი მოცემულ დისერტაციაზე მუშაობის დასაწყებად და ამისთვის ვმადლობთ ღმერთს და ვმადლობთ მათ – დიდ მეცნიერებს და უაღრესად საინტერესო ადამიანებს: პროფესორ თენგიზ ირემაძეს, შემდგომში ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტურაში, და პროფესორ ჰელმუტ შნაიდერს.

მუშაობის პროცესში საქმიანი თანადგომა გავვიწია და დიდად დაგვეხმარა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (აქ ინახება იონა ხელაშვილის ხელნაწერი შრომები) ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოვყოფით პროფესორ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს.

უდიდესი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას და ამავდროულად ბატონ ალექსანდრ სიმონოვს, რომელიც იყო ჩვენი მეგზური და დამხმარე სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ცГИА СПб) დაცული დოკუმენტების მოძიების საქმეში, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა იონა ხელაშვილის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტება და მეტ-ნაკლებად სრული სახით შეკვრა.

აქვე მადლობას ვუხდით ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალურ შემფასებლებს – პროფესორ ლალი ზაქარაძეს, პროფესორ გიორგი ბარამიძესა და პროფესორ ბელა ბალხამიშვილს საფუძვლიანი რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.

ვმადლობთ მათ, ვინც ყურადღებას არ იშურებდა და ჩვენს გვერდით იდგა მთელი პროცესის განმავლობაში, რაც უზომოდ გვამხნევებდა და გვაძლიერებდა. საგანგებოდ გვსურს გამოვყოთ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, ასევე, პროფესორები – მიხეილ გოგატიშვილი, უდო რაინპოლდ იეკი,

იოახიმ ფონ ვედელი და ასოცირებული პროფესორები – გიორგი თავაძე და გიორგი ხუროშვილი.

დასასრულ, კვლავ მოვიხსენიებთ პროფესორ თენგიზ ირემაძეს დიდი მადლიერების გრძნობით; შთამბეჭდავია მისი მაღალი პროფესიონალიზმი, შეუდარებლად დიდი პასუხისმგებლობა და ფილოსოფიისადმი უზომო სიყვარული. დიდია მისი როლი დისერტაციის თემის შერჩევაში და გულწრფელად ვხარობთ, რომ ჩვენი მეცადინეობით ახალი სიცოცხლე შეიძინა უსამართლოდ მივიწყებულმა და სათანადოდ არდაფასებულმა ქართველმა მოაზროვნემ; ღმერთს შევთხოვთ ძალებს, რათა კვლავაც გავაგრძელოთ იონა ხელაშვილის შემოქმედების შემდგომი კვლევა.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი დიდად წაადგება ამ ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის შემოქმედების კვლევაძიებით დაინტერესებულ სწავლულებს მისი თეორიული ნააზრევის შემდგომი დამუშავებისა და ანალიზის პროცესში.

**მდაბალი გრიგოლი
(ბერბიჭაშვილი)**
მიტროპოლიტი ფოთისა და ხობისა

რედაქტორთაგან

წარმოდგენილი მონოგრაფია იონა ხელაშვილის (1778-1837 წწ.) ფილოსოფიის შესახებ ეძღვნება ქართველ ფილოსოფოსა და თეოლოგს, რომელსაც ქართული ფილოსოფიის ისტორიაში დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. დიდი ხნის განმავლობაში იონა ხელაშვილს „რეაქციულ მოაზროვნედ“ მიიჩნევდნენ. სათანადო შეფასების მიღმა დარჩა როგორც მისი გამოქვეყნებული ნაშრომები, ასევე მისი ხელნაწერებიც. ამ არადამაკმაყოფილებელი რეცეფციის ფონზე მიტროპოლიტ გრიგოლის განსაკუთრებულ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან ახლებურად გაიაზრა ამ უსამართლოდ მივიწყებული მოაზროვნის შემოქმედება და მისი მნიშვნელობა. წინამდებარე ნაშრომის ავტორმა პირველმა მოახდინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იონა ხელაშვილის ხელნაწერების სისტემური კლასიფიკაცია, რითაც მან ხელაშვილის შესახებ მომავალი კვლევებისათვის მყარი მეცნიერული საფუძველი შექმნა. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ავტორის მიერ სანკტ-პეტერბურგში მოპოვებული წყაროები და დოკუმენტები, რომლებიც ახალ შუქს ჰქონენ იონა ხელაშვილის ცხოვრებას (სწორედ სანკტ-პეტერბურგში გაატარა ხელაშვილმა თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი). მიტროპოლიტი გრიგოლი საგანგებოდ განიხილავს ხელაშვილის მთავარ ნაშრომს „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“ (1826 წ.), რომელშიც მისი ფილოსოფიური თეოლოგიისა და ქრისტიანული ფილოსოფიის საფუძვლებია ჩამოყალიბებული. აღნიშნულის საფუძველზე ავტორი იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის შესახებ საუბრობს.

მიტროპოლიტი გრიგოლი უაღრესად ფართოდ და კვალიფიციურად განიხილავს საკვლევი თემატიკის შესახებ არსებულ ლიტერატურას. იგი განსაკუთრებით საგულდაგულოდ აანალიზებს სპეციალურ გამოკვლევებს იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; მას ყურადღების მიღმა არ რჩება არც ის მცირერიცხვანი ნაშრომები, რომლებიც ამ მოაზროვნის ამა თუ იმ თხზულების შესახებ გამოქვეყნდა სხვადასხვა დროს. აქვე ნათლად იკვეთება თვით ავტორის კრიტიკული პოზიცია უკვე არსებული კვლევითი ლიტერატურის შესახებ, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, რომ თავისი გამოკვლევა თვისებრივად ახალ ხარისხობრივ დონეზე შეესრულებინა და ამ ნაკლებად ცნობილი ქართველი მოაზროვნის მკვეთრი მეცნიერული პროფილი წარმოეჩინა.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იონა ხელაშვილის კომენტარები ლაიბნიც-კლარკის მიმოწერაზე. ეს მიმოწერა 1823 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ილია ბაგრატიონმა

(1790-1854 წն.). աղնո՛շնո՛ւլո յոմենցիարո նատլագ աֆասքուրեծ եղլամբոլուս ոնցերես տաճամեդրուզ յըրոպուլո աթրովնեծուս մօմարտ. աղսանո՛շնազուա, րոմ լմերտուս լոնեծաստան մօմարտեծուտ օգո այրուտուկեծու ռոցորու լուածնուցուս, ասեզ յլարյուս մշեցուլուցուեծուսաց. ամ մերու եղլամբոլո ուանե դամասկուլուս (675-749 წն.) նաաթրեց յըրունոծուա.

ունա եղլամբոլմա յրտմանետս դասուազմուրո յուլոսուուրո տյուլու ցուսա დա յրուստուանուլո յուլոսուուրուս մորուագու լոնեծու. յարտուլո յուլոսուուրո աթրովնեծուս ուստորուամու օգո անցոն ծագրագուոնսա (1720-1788 წն.) դա սուլոմոն դուգամբուլս (1805-1836 წն.) մորուս դգաս, ხոլո մուսո նաաթրեցուս յրտցար յացրելուցու դա սուլուուրու զո մշումուն յանուսուուրու յըուսկուուս յածրուել յոյուսուս (1825-1896 წն.) յրուստուանուլո անտրունուլուցու.

նոնամգեծարյ մոնոցրացուա արսենուտ սուելյուս յատազաթուս սամո մօմարտուլուցուտ:

1. ունա եղլամբոլուս յուլոսուուրուսա դա տյուլուցուս յալեցուս մերու; 2. յրուստուանուլո յուլոսուուրուս դատունեծուս աելութուրագ յաաթրեծուս յուտետու; 3. յարտուլո յուլոսուուրուս ուստորուամու յանուսայուրեծուլո մնունելունուս սուլումուսուուրու նուցումուս յուտետու.

մուրունուլութ յրուցուուս մոյր նարմուցունու մոնոցրացուա մուտաց արուս մնունելուցուանու, րոմ ուս սամոմազու յալեցու-դոյեծուս նաաթել չեր-սպեյքուուրու սաեացու: րա մօմարտեծու յնդա չյունդու տաճամեդրուզ յրուստուանուլ յուլոսուուրուս աղնո՛շնո՛ւլ գրագուուստան դա ռոցոր մշումուն մաս ամ գրագուուս նայուցույրո ատցուսեա? յս յուտեցու յրուստուանուլո յուլոսուուրուս նուալու մշումուն ունդու յուլուրու յալեցուս ամուպան յնդա յաեցու. ամ գրուս (յամո)յալեցու դայսաց յրուստուանուլո յունդուս ուստորուուլ յանիուլուն յանիուլուն յնդա յայուրունու (ուսեզ, ռոցորու ամաս եղլամբու աեորուուլուն յանիուլուն!). նոնամգեծարյ մոնոցրացուա ամ մերու յագազու նոնցագագմուլ նածոյչ նարմուացցունու. յոյոյրունու, րոմ ուս յարցու մշենայուս յրուստուանուլո յուլոսուուրուս սայուտեծուս մշենայուլուտա դա յալեցուտ դանիուրեյսեծուլո ադամուանունուստուուս.

տյեցու որյամաժյ
լուլո ծայամաժյ
յուդո րաունչուլու ույյո
չյելմութ մնաօդյրո

25 օյյամիջու, 2017 նյուո

შესავალი

ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებას XX საუკუნის საქართველოში დიდად შეუძალა ხელი მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგიის დანერგვამ და გავრცელებამ. ამის შედეგად განსაკუთრებული ზიანი მიადგა ძველი ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრადიციის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების (ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა-ძიებას. ამ ტენდენციის გამო არაერთი საგულისხმო ქართველი მოაზროვნის თეორიული მემკვიდრეობა სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა. იონა ხელაშვილი ახალი დროის ქართული თეორიული აზროვნების ის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის უმდიდრესი თეორიული (ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო) შემოქმედება აქამდე არ გამხდარა ინტენსიური მეცნიერული გამოკვლევის საგანი. არადა, ახალი დროის ქართულ აზროვნებაში იშვიათად თუ მოიძებნება ფილოსოფიის და ლვთისმეტყველი, რომელსაც ამ ორი დარგის განვითარებისათვის ისეთი მძლავრი პიძგი მიეცეს, როგორც ეს იონა ხელაშვილმა მოახერხა. მან ახალი დროის ქართულ თეორიულ აზროვნებაში ქრისტიანული ფილოსოფიის ერთი-ერთი ყველაზე საგულისხმო მოდელი შექმნა, რომელიც ქართული ლვთისმეტყველების განვითარებისთვის დღესაც უაღრესად აქტუალურია. ეს მოდელი მოიცავს ამ მოაზროვნის მთელ მეტაფიზიკურ კონცეფციას.

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული. აღსანიშნავია, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში ინახება მისი რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი, რომელშიც მისი უდავოდ საყურადღებო ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო კონცეფციებია გადმოცემული. ვფიქრობთ, რომ ამ ნაშრომთა გაშიფრვა, რედაქტირება, გამოცემა და მათი სათანადო შესწავლა ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების გადაუდებელი კვლევითი ამოცანაა. აქედან გამომდინარე, იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია თანამედროვე ქართული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის დაწვრილებითი ფილოსოფიური ანალიზი ჯერ არ მომხდარა. უფრო მეტიც, ეს დიდი ქართველი მოაზროვნე ქართული საბჭოთა მარქსისტული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის კონტექსტში „რეაქციონერად“ იყო მონათლული. ეს ტენდენცია ისე ყოვლისმომცველი აღმოჩნდა, რომ იგი თვით შალვა ნუცუბიძემაც კი – თავისი „ფილოსოფიის

ისტორიის“ მეორე ტომში – „თეოლოგიურ-რეაქციონური მიმდინარეობის“ იმ წარმომადგენლად მიიჩნია, რომელიც ქართული ფილოსოფიური აზრის პროგრესული გზით განვითარებას ახალი დროის ქართულ აზროვნებაში ხელს უშლიდა. [63,459] ამგვარმა შეფასებებმა დიდად შეაფერხა იონა ხელაშვილის მრავალმხრივი შემოქმედების შესწავლა-ათვისების საქმე. დღემდე უცნობი რჩება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი. ამ მოაზროვნის თვით დაბადების ზუსტი თარიღიც კი დღემდე უცნობი იყო. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, რეკონსტრუირებული იქნება იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია, ასევე, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე უცნობი არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ალსანიშნავია, რომ იონა ხელაშვილის ნამდვილი ცხოვრებისეული პორტრეტის აღდგენა და გათვალისწინება აუცილებელია ამ ქართველი მეტაფიზიკოსის შემოქმედების ადეკვატური ანალიზისა და შეფასებისთვის, რადგან იონა ხელაშვილი იმ რჩეულ მოაზროვნეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელია და, ამდენად, ისინი ერთიან ჭრილში უნდა იქნეს წარმოდგენილი.

დასახული კვლევითი მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი სამუშაოს შესრულება: (1). იონა ხელაშვილის თეორიული შემოქმედების შესახებ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვა და მეცნიერული შეფასება. (2). კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იონა ხელაშვილის ხელნაწერთა აღწერა, სისტემურ-მეთოდოლოგიური კლასიფიკაცია, იმ პრობლემებისა და თემატიკის გამოკვეთა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თავად იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის განხილვისა და ანალიზის დროს. (3). განხილული და გააანალიზებული უნდა იქნეს ის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემო, რომელშიც იონა ხელაშვილს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. აქვე რეკონსტრუირებული უნდა იქნეს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, რომლებიც აქამდე ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში არ იყო ცნობილი, ან კიდევ არასწორად იყო წარმოდგენილი (მაგალითად, ცნობები იონა ხელაშვილის დაბადების თარიღის შესახებ). (4). იონა ხელაშვილის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია ახალი დროის ქართულ-ევროპული მეცნიერული აზროვნების კონტექსტში მისი მოძღვრების განხილვა, რადგან მისი შემოქმედება სწორედ ახალი დროის მეცნიერული აზროვნების ინტეგრაციურ ნაწილს წარმოადგენს. ამ ასპექტების სათანადო გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს, რომ იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის თავისებურებანი გამოვკვეთოთ და მისი სიახლე და ორიგინალურობა ვაჩვენოთ. (5). წინამდებარე ნაშრომის პოლო თავებში წარმოდგენილი უნდა იქნეს იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი პრობლემები მის ცნობილ, წაკლებად ცნობილ და დღემდე უცნობ ნაშრომებსა თუ მასალებზე დაყრდნობით. აქვე საგანგებო ყურადღება უნდა

და ეთმოს იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის სპეციფიკისა და თავისებურებების განხილვასა და ანალიზს, რათა თავად ამ კონცეფციის სიახლე და აქტუალობა წარმოჩნდეს.

იონა ხელაშვილის ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო შემოქმედების მთავარი შედეგები შეჯამებულია მის საკვანძო ნაშრომში „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“. ქართველი მოაზროვნე აქვე აყალიბებს ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მოდელს, რომელიც ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს მის მიერვე დასახული კვლევითი მიზნებისა და მეთოდოლოგიური პრინციპების მომარჯვებით. ასეთი მეთოდოლოგიური ნაზავის შედეგად იქმნება ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ხელაშვილისეული ვერსია, რომელსაც იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია შეიძლება ეწოდოს. მეტაფიზიკის ასეთი სახე ორიენტირებულია ქრისტიანული ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების ისეთი კომბინაციის შექმნაზე, რომელიც სამყაროს დიადი წიგნების, „წმინდა წერილის“ ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, რომლის თანმიმდევრული განვითარება მისსავე მეტაფიზიკურ კონცეფციას ქმნის, ეფუძნება ძველი და ახალი აღთქმის სიპრენისმეტყველებას და მის სპეციფიკურ ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას ქმნის. ამდენად, იონა ხელაშვილის თეორიული შემოქმედების ანალიზი წინამდებარე კვლევის ფარგლებში სწორედ მისი მეტაფიზიკური კონცეფციის დაწვრილებით განხილვასა და შეფასებას ეყრდნობა.

ზემოთ დასახული კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევითი ნაშრომის ფარგლებში, უწინარეს ყოვლისა, გამოყენებულია ფილოსოფიური ისტორიოგრაფიისთვის არსებითი კომპარატივისტული (შედარების) მეთოდი. უფრო მეტიც, ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მეთოდი მთავარ მეთოდოლოგიურ საშუალებასაც კი წარმოადგენს, რომელიც ჩვენ მიერ აქტიურად გამოყენებულ ჰერმენევტიკულ და ინტერდისციპლინურ მიდგომებს აერთიანებს და აკავშირებს.

ფილოსოფიური აზროვნების ჯერაც უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ტრადიციათა და დოკუმენტთა ადეკვატური შესწავლის მეთოდოლოგიური წანამძღვრები მოცემული აქვს პროფ. თენგიზ ირემაძეს თავის არაერთ სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ფილოსოფიის ისტორიის უსამართლოდ მივიწყებულ ეპიზოდთა და წარმომადგენელთა ანალიზსა და შეფასებას ეძღვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (2013 წ.). იგი სისტემატურად ავითარებს კონტექსტუალური კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც „კულტურულ მოვლენათა კვლევისას მარტივი სქემების უკუგდებას“ და ამა თუ იმ ფილოსოფიური ტექსტის მისსავე ბუნებრივ (იმანენტურ)

კონტექსტებში წაკითხვასა და შეფასებას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, ფილოსოფიის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ტრადიციათა თანაბრად რეაქტუალიზებისა და მისი ცალმხრივი ევროპეიზაციის პროცესის რეალატივირების შესაძლებლობას გვაძლევს. ფილოსოფიის ისტორიის თანამედროვე გააზრებას სწორედ ეს მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ფილოსოფიის ისტორიის მივიწყებულ ეპიზოდთა შესწავლისა და მათი ისტორიული ვერიფიცირებისა. ვფიქრობთ, რომ იონა ხელაშვილის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შემოქმედების კომპლექსური ანალიზის პროცესში კონტექსტუალური კვლევითი მეთოდოლოგია დიდ დახმარებას გაგვიწევს.

გარდა ამისა, იონა ხელაშვილის შემოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე (ბიბლიური ტექსტების ანალიზი და ა.შ.), ინტენსიურად გამოვიყენებთ ფილოსოფიური ჰერმენევტიკის მეთოდსაც, კერძოდ კი, მისი მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი მომენტებისა და თავისებურებების გამოკვეთის დროს. ამ მეთოდთა გამოყენების შედეგად კი შეიქმნება სხვა მეთოდოლოგიური არსენალის გამოყენების წინაპირობაც: იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია, ასევე, წარმოდგენილი იქნება ინტერდისციპლინური კვლევითი მეთოდოლოგიის ჭრილში.

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური ტექსტებისა და ბიბლიური წიგნების კომენტარების კონტექსტუალური წაკითხვის მეთოდოლოგიური საფუძვლების მომარჯვების შედეგად, ირკვევა, რომ ქართველი ფილოსოფოსი ღვთისმეტყველი ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის გაგების საკუთარ მოდელს გვთავაზობს, რომელიც დიდი ქრისტიანი მოაზროვნების ქრისტოლოგიურ ნააზრებს ეფუძნება. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი „ქრისტიანული კატეგორიათმოძღვრება“, რომლის საფუძველზეც თავად იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია შეიძლება დახასიათდეს როგორც „ფილოსოფიური ღვთისმეტყველება“ ანუ „ქრისტიანული მეტაფიზიკა“.